# Lactoflorene® ბრტყელი მუცელი
## კომპლექსური ფორმულა მეტეორიზმთან საბრძოლველად

**მეტეორიზმი** — არის კუჭ-ნაწლავის ტრაქტში (კნტ) აირების ჭარბი დაგროვება მათი მომატებული წარმოქმნის ან ორგანიზმიდან არასაკმარისი გამოდევნის გამო. აღიარებულია, რომ ეს პრობლემა დღესდღეობით ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულია. მეტეორიზმი შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი სიმპტომებით: ბოყინი, აბდომინალური (მუცლის) ტკივილი, მუცლის შებერილობა, ნაწლავებიდან აირების ჭარბი გამოყოფა. მეტეორიზმის წარმოქმნის მიზეზებია:
- მიღებული საკვების ფერმენტაცია, რომელიც დიდხანს ყოვნდება კუჭში (ლპობისა და დუღილის პროცესი). ეს შესაძლოა დაკავშირებული იყოს საჭმლის მონელების პრობლემებთან ან ნაწლავის მიკროფლორის ბალანსის დარღვევასთან;
- საკვების აუტანლობა;
- არაბალანსირებული კვება და პროდუქტების არასწორი კომბინაცია, უხეში ბოჭკოების, პექტინისა და ცელულოზის მაღალი შემცველობის მქონე საკვების ჭარბი მოხმარება (პურპროდუქტები, მაკარონი, საკონდიტრო ნაწარმი, ხორბლის, სიმინდის ან შვრიის სხვა პროდუქტები, დამუშავებული ქატო, პარკოსნები, რბილი ყველი, ზოგიერთი ხილი და ბოსტნეული), ასევე ცხიმიანი საკვების გადაჭარბებულად მიღება;
- ფსიქოემოციური გადატვირთვა და ნერვული სისტემის აშლილობა.

მეტეორიზმის წარმოქმნისას, როგორც წესი, ინიშნება სიმპტომური მკურნალობა, რომელიც მიმართულია ცალკეული სიმპტომების აღმოსაფხვრელად. თუმცა, ეს მხოლოდ პრობლემის დროებითი გადაჭრაა, ამიტომ მეტეორიზმი შესაძლოა გარკვეული დროის შემდეგ კვლავ გამოვლინდეს, თუ არ დადგინდა მისი წარმოქმნის რეალური მიზეზი.
**Lactoflorene® ბრტყელი მუცლის** კომპონენტების კომპლექსური მოქმედება, რომელიც მიმართულია მეტეორიზმის სხვადასხვა მიზეზზე, ხელს უწყობს ამ პრობლემის აღმოფხვრას და ნაწლავის მიკროფლორის ბალანსის ნორმალიზებას.
**Lactoflorene® ბრტყელი მუცელი გამოდის ინოვაციური შეფუთვით — ორკამერიანი DUOCAM® პაკეტებით.** თითოეული პაკეტი დაყოფილია ორ ნაწილად (კამერად), A და B. A კამერაში მოთავსებულია ფერმენტები და მცენარეული ექსტრაქტები, B კამერაში — ბიფიდო- და ლაქტობაქტერიები. ეს საშუალებას აძლევს კომპონენტებს, არ შევიდნენ ერთმანეთთან რეაქციაში პროდუქტის გამოყენებამდე, რაც უზრუნველყოფს მათი თვისებების ოპტიმალურ შენარჩუნებას.

## თვისებები
**ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატი Lactoflorene® ბრტყელი მუცელი** — არის კომპლექსური ფორმულა, რომლის შემადგენლობაში შედის პრობიოტიკები, საჭმლის მომნელებელი ფერმენტები და მცენარეული ექსტრაქტები, რაც გვეხმარება მეტეორიზმის სხვადასხვა გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლაში. **ცოცხალი ბიფიდო- და ლაქტობაქტერიები** ხელს უწყობენ ნაწლავის მიკროფლორის ბალანსის აღდგენას და თრგუნავენ აირწარმომქმნელი და ლპობის გამომწვევი ბაქტერიების აქტივობას. **საჭმლის მომნელებელი ფერმენტები** შლიან საკვების რთულ კომპონენტებს უფრო მარტივ ნივთიერებებად, რომელთა ათვისებაც ორგანიზმს შეუძლია. **ალფა-გალაქტოზიდაზა** — ფერმენტია, რომელიც გვეხმარება მაღალი აირწარმომქმნელი პოტენციალის მქონე რთული ნახშირწყლების (პარკოსნები, მარცვლეული, ზეთოვანი კულტურები, ძირხვენები) მონელებაში, რომელთაც მუცლის შებერილობის გამოწვევა შეუძლიათ. ბეტა-გალაქტოზიდაზა (ლაქტაზა) — ფერმენტია, რომელიც კატალიზებს ლაქტოზის დაშლას. ლაქტაზის უკმარისობა იწვევს ლაქტოზის აუტანლობას, რის შედეგადაც რძის ან რძის პროდუქტების მიღების შემდეგ აღინიშნება მეტეორიზმი, აირების დაგროვება, მუცლის ტკივილი და დიარეა. **მცენარეული ექსტრაქტები**, რომლებიც შედიან **Lactoflorene® ბრტყელი მუცლის** შემადგენლობაში, გვეხმარებიან კუჭ-ნაწლავის ტრაქტში აირწარმოქმნის შემცირებაში და ხელს უწყობენ უკვე დაგროვილი აირების გამოდევნას. ასევე ახასიათებთ ანტისტრესული ეფექტი და ხელს უწყობენ რელაქსაციას.

**გამოყენების სფერო:** როგორც ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატი — პრობიოტიკური მიკროორგანიზმების (ბიფიდო- და ლაქტობაქტერიების) და ფლავონოიდების წყარო.

## გამოყენების ჩვენებები:
- ფერმენტული უკმარისობის დროს;
- დისბაქტერიოზის დროს;
- ნაწლავის მოტორიკის დარღვევის დროს;
- საჭმლის მონელების დარღვევების (სიმძიმე, გულძმარვა, ბოყინი) დროს;
- დიარეის, ყაბზობის (შეკრულობის) და მუცლის შებერილობის დროს;
- არაბალანსირებული კვების დროს (მაღალი აირწარმომქმნელი პოტენციალის მქონე პროდუქტების, ასევე ცხიმიანი და ტკბილი საკვების ჭარბი მოხმარება);
- სტრესული სიტუაციების დროს.

**უკუჩვენებები** პროდუქტის კომპონენტების მიმართ ინდივიდუალური აუტანლობა, ორსულობა, ლაქტაცია (ძუძუთი კვება). გამოყენებამდე რეკომენდებულია ექიმთან კონსულტაცია.



**მიღების წესი და დოზირება** მოზრდილებისთვის რეკომენდებულია 1 პაკეტი დღეში, ძირითად კვებამდე. DUOCAM® პაკეტის შიგთავსი გახსენით ერთ ჭიქა გრილ ან ოთახის ტემპერატურის წყალში.
მიღების ხანგრძლივობაა 10–30 დღე. საჭიროების შემთხვევაში კურსის გამეორება შესაძლებელია.

**განსაკუთრებული მითითებები და უსაფრთხოების ზომები** - ბიოლოგიურად აქტიური დანამატები სრულად ვერ ჩაანაცვლებს ჯანსაღ, ბალანსირებულ დიეტასა და ცხოვრების ჯანსაღ წესს.
- არ გადააჭარბოთ რეკომენდებულ სადღეღამისო დოზას.

**შემადგენლობა კამერა A:** მალტოდექსტრინი; მარწყვის წვენის დეჰიდრატირებული კონცენტრატი; შტოშის წვენის დეჰიდრატირებული კონცენტრატი; სამკურნალო მელისას (ბარამბოს) ფოთლების ექსტრაქტი; სამკურნალო გვირილის ყვავილების ექსტრაქტი; ინკარნატული პასიფლორას ბალახის ექსტრაქტი; ბრინჯისგან ფერმენტირებული მალტოდექსტრინი; წითელი ხილის არომატიზატორი (მალტოდექსტრინი, გუმიარაბიკი E414 (მატარებელი), არომატული სუბსტანცია); კრემნიუმის დიოქსიდი E551 (შეწებების საწინააღმდეგო აგენტი); ალფა-გალაქტოზიდაზა; ლიმონმჟავა E330 (მჟავიანობის რეგულატორი); შავი ანწლის კენკრის ნატურალური არომატიზატორი (ექსტრაქტი); სამკურნალო კოჭას ფესურების ექსტრაქტი; ბეტა-გალაქტოზიდაზა.
**კამერა B:** მალტოდექსტრინი; ბიფიდობაქტერიები Bifidobacterium lactis HN019 (ATCC: SD5674); წითელი ხილის არომატიზატორი (მალტოდექსტრინი, გუმიარაბიკი E414 (მატარებელი), არომატული სუბსტანცია); კრემნიუმის დიოქსიდი E551 (შეკუმშვის საწინააღმდეგო აგენტი); ლაქტობაქტერიები Lactobacillus acidophilus NCFM®; სუკრალოზა E955 (დამატკბობელი).

| **მოქმედი კომპონენტები** | **1 DUOCAM®-ის პაკეტი / სადღეღამისო დოზა** |
|---|---|
| ბიფიდობაქტერიები Bifidobacterium lactis HN019 | 1x109 კწე* |
| Lactobacillus acidophilus NCFM® | 0.10x109 კწე* |
| მელისას ექსტრაქტი | 50 მგ |
| გვირილის ექსტრაქტი | 50 მგ |
| პასიფლორას ექსტრაქტი | 50 მგ |
| კოჭას ექსტრაქტი | 5 მგ |
| ბრინჯისგან ფერმენტირებული მალტოდექსტრინი; | 40 მგ |
| ალფა-გალაქტოზიდაზა | 20 მგ |
| ბეტა-გალაქტოზიდაზა | 5 მგ |

*კწე — კოლონიის წარმომქმნელი ერთეული (სიცოცხლისუნარიანი მიკროორგანიზმების რაოდენობის მაჩვენებელი)

## ვარგისიანობა და შენახვის პირობები
2 წელი წარმოების თარიღიდან (მითითებულია შეფუთვაზე).
შეინახეთ მშრალ, ბნელ და ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას, არაუმეტეს +25°C ტემპერატურაზე.

## გამოშვების ფორმა
- 20 ცალი DUOCAM® პაკეტი, თითოეული 4 გ (2 გ + 2 გ) მასის (ნეტო მასა — 80 გ).

## მწარმოებელი
S.I.I.T. s.r.l., Via Ariosto 50/60 – 20090 Trezzano sul Naviglio (Milano), იტალია, კომპანიისთვის Montefarmaco OTC SpA, Via IV Novembre, 92-20021 Bollate (MI), Italy (იტალია).

**იმპორტიორი, პასუხისმგებელი ტერიგორიაზე პრეტენზიების მიღებაზე,** შპს "ფიენ ჯითენ", საქართველო, ქ.თბილისი, სამგორის რაიონი, იუმაშევის 11. ტელ: + 995 577 150 639

ბიოლოგიურად აქტიური დანამატი. არ წარმოადგენს სამკურნალო საშუალებას. არ უნდა იქნას გამოყენებული სრულფასოვანი კვების რაციონის შემცვლელად.

MONTEFARMACO